



საქართველო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 46 55

05/08/2015

თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2015 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ 2015 წლის 15 იანვრის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

მუხლი 1.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2015 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ 2015 წლის N6 განკარგულებით დამტკიცებული პროექტის პირველი მუხლის მე-3 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით .

„3. პროგრამის ბიუჯეტი: 170 000 (ასსამოცდაათი ათასი) ლარი.

მუხლი 2.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ავთანდილ ჩუბინიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო